1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 5 (103) 20 ივნისი 1960 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი პირველი

31. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-იტალიის კულტურული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
32. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ი. კორიუკინის გათავისუფლების შესახებ.
33. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ი. კუზმინის დანიშვნის შესახებ
34. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ ფინეთის რესპუბლიკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ სსრ კავშირიდან მიწოდებული კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის ასანაზღაურებლად.
35. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ემელიანოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
36. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ვ. დეგტიარის განთავისუფლების შესახებ.
37. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. თ. ანტონოვის დანიშვნის შესახებ.
38. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ სამატიო წოდების მინიჭების შესახებ.
39. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. მაიაკოვსკის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. პ. ოხლოპკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
40. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოლდავეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
საინფორმაციო ცნობა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

განყოფილება პირველი

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ.
44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.
45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ყორიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დ. ს. ჩხეიძისა და მ. ვ. შჩერბაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ
48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დ. დ. ამირანაშვილის, ნ. ზ. ლოლაძისა და ნ. გ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თელავის რაიონში მდინარე თერდოზეხიდის მშენებლობის საქმეში.
50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მებაღე-დეკორატორ მ. ა. მამულაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
53. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. ჭიჭინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის გამგედ დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 საბჭოთა კავშირ-იტალიის კულტურული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კულტურული შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იტალიის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1960 წლის 9 თებერვალს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ი. კორიუკინის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ნიკოლოზ ივანეს ძე **კორიუკინი** შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ი. კუზმინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იოსებ იოსების ძე **კუზმინი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად შვეიცარიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ ფინეთის რესპუბლიკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ სსრ კავშირიდან მიწოდებული კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის ასანაზღაურებლად

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობა, ხელმძღვანელობენ რა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების პრინციპებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის და სურთ რა ხელი შეუწყონ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ეკონომიური კავშირის შემდგომ განვითარებას, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

სსრ კავშირის მთავრობა ფინეთის მთავრობას მისცემს კრედიტებს საერთო თანხით 500 მილიონ მანეთამდე (ერთი მანეთი შეიცავს 0,222168 გრამ სუფთა ოქროს) სსრ კავშირიდან მიწოდებული კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის ასანაზღაურებლად, რომლებიც გამოყენებულ იქნება ფინეთის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ფინეთის სახელმწიფო დაწესებულებების საჭიროებისათვის.

კრედიტების გამოყენებას განახორციელებენ ფინეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნების მქონე კერძო ფირმები.

კრედიტები მიეცემა წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით დაფარვის 12 წლის ვადით.

მუხლი 2

კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის სსრ კავშირიდან ფინეთში მიწოდება 1 მუხლში ნაჩვენები კრედიტების ანგარიშში მოხდება კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც დაიდება შესაბამის საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა, ერთი მხრივ, და ფინეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ფინეთის მთავრობის რწმუნების მქონე კერძო ფირმებს შორის, მეორე მხრივ კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის ფასები, დადგინდება მანეთებში მსოფლიო ფასების ბაზაზე, შეღავათების გათვალისწინებით, თუ კი ასეთს სსრ კავშირი მისცემს მესამე ქვეყნებს.

აღნიშნული კონტრაქტები შეიძლება დაიდოს 5 წლის განმავლობაში ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

ფინეთის მხარის სურვილით საბჭოთა მხარე ხელს შეუწყობს ფინეთის მხარის წარმომადგენლებს იმ კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის გაცნობაში, რომლებიც სსრ კავშირმა შეიძლება მიაწოდოს ფინეთს ამ შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3

ამ შეთანხმების 1 მუხლში მოხსენიებული კრედიტები ფინეთის მთავრობის მიერ უნდა დაიფაროს თანაბარი ყოველწლიური ნაწილებით 12 წლის განმავლობაში. ამ კრედიტების დასაფარავი პირველი გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ერთი წლის შემდეგ მანქანებისა და მოწყობილობის ან ყოველი კომპლექსური საწარმოს მიწოდების შემდეგ.

პროცენტები 1 მუხლში გათვალისწინებულ კრედიტებზე დაირიცხება კომპლექსური საწარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდების თარიღიდან და გადახდილი უნდა იქნას წლის პირველ კვარტალში, რომელიც მოსდევს მათი დარიცხვის ყოველ წელს.

მუხლი 4

თანხები, რომლებიც შემოვა სსრ კავშირის სასარგებლოდ კრედიტების დასაფარავად და დარიცხული პროცენტების გადასახდელად, ჩაირიცხება განსაკუთრებულ ანგარიშზე მანეთებში, რომელიც ფინეთის ბანკში გაიხსნება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სასარგებლოდ.

აღნიშნული თანხები გამოყენებულ იქნება ფინური საქონლის შესასყიდად (მათ შორის ხე-ტყისა და ქაღალდის), რომელთა სიები შეთანხმებული იქნება ყოველწლიურ მოლაპარაკებებში საქონელბრუნვის შესახებ. ფასები ამ საქონელზე დაწესებულ იქნება მანეთებში სოფლიო ფასების ბაზაზე, შეღავათების გათვალისწინებით, თუ ასეთს ფინეთი მისცემს მესამე ქვეყნებს.

ეს თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ანგარიშებზე შესაძლებელი სადებეტო სალდოს დასაფარავად, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1959 წლის 22 ოქტომბრის შეთანხმებით, ან სხვა შეთანხმებებით, რომლებიც დაიდება მოხსენებული შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 5

კრედიტების დაფარვის უზრუნველყოფისათვის ფინეთის მთავრობა ფინეთის ბანკის საშუალებით გასცემს ვალის ვალდებულებებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ფინეთის ბანკი ერთად დაადგენენ ამ ვალდებულებების გაფორმებისა და გაცემის წესს.

მუხლი 6

ამ შეთანხმებით მიცემული კრედიტების გამოყენებისა და დაფარვის და დარიცხული პროცენტების გადახდის აღსარიცხავად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ფინეთის ბანკი ერთმანეთს გაუხსნიან სპეციალურ საკრედიტო

ანგარიშებს მანეთებში და ერთად დაადგენენ ნაჩვენები კრედიტების ანგარიშთა და ანგარიშსწორებების წარმოების ტექნიკურ წესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ იქნება რაც შეიძლება მოკლე დროში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რომელიც მოხდება ჰელსინკში.

დადებულია მოსკოვში 1959 წლის 22 დეკემბერს თვითეული ორ ეგზემპლარად რუსულ და ფინურ ენაზე, ამავე დროს ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების	ფინეთის რესპუბლიკის
კავშირის მთავრობის რწმუნებით	მთავრობის რწმუნებით
ნ. პატოლიჩევი.	ა. კარიალაინენი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 25 აპრილს; ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1960 წლის 13 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ჰელსინკში 1960 წლის 2 ივნისს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 ამხ. ვ. ს. ემელიანოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ვასილ სიმონის ძე **ემელიანოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ვ. დეგტიარის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს მიხეილ ვასილის ძე **დეგტიარი** ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. თ. ანტონოვის დანიშვნის შესახებ

დანიშნოს სერგი თევდორეს ძე **ანტონოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავღანეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი **„გმირი დედა“** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი;

1. მარუშა ბასიატის ასულ **ანკვაბს** — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონის სოფელი ხოფი.

2. პარფენა პავლეს ასულ **პოპანდოპულოს** — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ემროსის“ წევრს.

3. ლიმო ნარიკის ასულ **ტაბაღუას** — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირის“ წევრს.

4. ლიდა მოსეს ასულ **ჭითანავას** — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონის პარპალიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

5. ანა ნიკოლოზის ასულ **შაბლინას** — დიასახლისს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოხუმის რაიონის სოფელი ესტონკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 ვ. მაიაკოვსკის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. პ. ოსლოპკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მისი დამსახურების გათვალისწინებით ვ. მაიაკოვსკის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნიკოლოზ პავლეს ძე ოსლოპკოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 8 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

40 მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში მოლდავეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 8 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

41 მოლდავეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში მოლდავეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოთ სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება:

1. ნინო ნიკოლოზის ასულ **მასალსკაიას** — მოლდავეთის სსრ სახალხო არტისტს, მოლდავეთის სსრ ა. პ. ჩეხოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობს.

2. თამარ საველის ასულ **ჩებანს** — მოლდავეთის სსრ სახალხო არტისტს, მოლდავეთის სახელმწიფო ფილარმონიის ხალხური მუსიკის ორკესტრის „ფლუერაშის“ სოლისტს.

3. კირილე ანტონის ძე **შტირბულს** — მოლდავეთის სსრ სახალხო არტისტს, მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 8 ივნისი.

საინფორმაციო ცნობა

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ძვირფას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შეტანისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას და წარმოების ზრდას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 28 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოდა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისთვის შეჯიბრების მოწინავეები და წარმოების ნოვატორები — სულ 2.812 კაცი.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია 2249 კაცი და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 563 კაცი, მათ შორის **საქართველოს სს რესპუბლიკაში:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. გივი ვასილის ძე **აზალაძე** — თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის მექანიკოსი.

2. ოთარ ილიას ძე **ალიხანაშვილი** — თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის მეკოტონე.

3. არტემ კარაპეტის ძე **ბაღდასაროვი** — თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი.

4. ამბროსი სილოვანის ძე **ბაკურაძე** — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მნგრეველთა ბრიგადირი.

5. ზაქარია ვასილის ძე **გელაშვილი** — ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის მინის ქარხნის ოპერატორთა ბრიგადირი.

6. ალექსანდრე კიკიას ძე **გელენავა** — ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

7. თორნიკე აკაკის ძე **გოგლიძე**—თბილისის კონიაკის ქარხნის ბრიგადირი.

8. ნოდარ გრიგოლის ძე **გოგოლაძე**—რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის უფროსი მეპარატე.

9. მარგალიტა იოსების ასული **ზვიადაძე** — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

10. აბრამ ლუკას ძე **ქოქრაშვილი** — თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის მექანიკოსი.

11. ლიანა ალექსანდრეს ასული **ქორიძე** — ბათუმის კოფეინის ქარხნის დამფასებელი.

12. ვალიდა ნიკოლოზის ასული **ლეგაშვილი** — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი.

13. შოთა აკაკის ძე **ფირცხალავა** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ამწყობი ზეინკალი.

14. ზაურ მიხეილის ძე **რუსია**—თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" მხეხავთა ბრიგადირი.

15. როენა ერასტის ასული **სიამაშვილი** — მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავთა მერგოლური.

16. გრიგოლ ბესარიონის ძე **ხარატიშვილი** — ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხნის მეპარატეთა ბრიგადირი.

17. შაშიკო სერაინის ძე **ხარშილაძე** — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს სატვირთავი მანქანის მემანქანე.

18. გურამ შალვას ძე **ჩადუნელი** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალი.

19. ხიმურ ხოთხოთის ასული **ჩანბა**—სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მტვიფრავი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. გიგა მიხეილის ძე **ბაქრაძე** — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

2. ალა ივანეს ასული **ბელონოჟკინა** — თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის გამომჭრელი.

3. კარლო იაგოს ძე **გოგნიაშვილი** — თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობის მებეტონეთა ბრიგადირი.

4. ამირან სიმონის ძე **კაპანაძე** — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მეყალიბეთა ბრიგადირი.

5. თამარ ნიკოლოზის ასული **ლაღაძე** — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი.

6. ლილი შალვას ასული **ნატროშვილი** — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დამფასებელთა ბრიგადირი.

7. ზაურ კაპიტონის ძე **სარდანაძე** — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის უფროსი მეპარატე.

8. ყარამან ნიკოლოზის ძე **სიმონიძე** — ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მორიგე ელექტრიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ალექსანდრე ვასილის ძე **სიუკაევი** — კვაისის მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის უფროსი.

10. მერი პოლიკარპეს ასული **ხაჭაპურიძე** — თბილისის კონიაკის ქარხნის ჩამომსხმელი.

უკრაინის სს რესპუბლიკის ყირიმის, პოლტავის და ჩერკასის ეკონომიურ ადმინისტრაციული რაიონების შექმნის შესახებ

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 17 მაისის ბრძანებულებით უკრაინის სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი ეკონომიურ ადმინისტრაციული რაიონები: ყირიმის (ყირიმის ოლქი), პოლტავის (პოლტავის ოლქი) და ჩერკასის (ჩერკასისა და კიროვოგრადის ოლქები), ხერსონის ეკონომიურ ადმინისტრაციული რაიონიდან ყირიმის ოლქის გამოყოფით, ხარკოვის — პოლტავის ოლქისა და კიევის — ჩერკასის და კიროვოგრადის ოლქების გამოყოფით.

ნაწილი მეოთხე

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

42 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

მიწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1960 წლის 24 ივნისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ საპატიო წოდებების დაწესების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების ნიმუშები და აღწერილობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

აღწერილობა

სამკერდე ნიშნისა „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“

სამკერდე ნიშანი **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“** ოქროსია, აქვს 26 მმ დიამეტრის სწორი წრის ფორმა. სამკერდე ნიშნის წინაპირი მოარშიებულია 0,6 მმ სიგანის ამობურცული ფერსოთი და აქვს ამობურცული ასოებით შესრულებული წარწერა **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“.** წარწერის ქვეშ გამოსახულია დაფნის შტო დაშვებული ლენტით. შტოსა და ლენტის გამოსახულება ამობურცულია.

სამკერდე ნიშნის მეორე მხარე გლუვია.

სამკერდე ნიშანი ყუნწისა და რგოლის მეშვეობით უერთდება 26 მმ სიგანის სწორკუთხა ჩარჩოს, რომელზედაც მიმაგრებულია 21 მმ სიგანის, 11 მმ სიმაღლის მუარის ლენტი, გვერდებზე 3,5 მმ სიგანის ორი თეთრი ზოლით,

ლენტის ცისფერ არეს შუაგულში აქვს 3,5 მმ სიგანის ლურჯი გრძივი ზოლი, ხოლო მისგან 1,5 მმ მანძილზე გადის 0,2 მმ სიგანის ორი წვრილი ლურჯი ზოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკერდე ნიშნის ჩარჩოს აქვს ქინძისთავი ტანსაცმელზე მისამაგრებლად.

სამკერდე ნიშანს **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“** ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

აღწერილობა

სამკერდე ნიშნისა „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“

სამკერდე ნიშანი **„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“** ვერცხლისაა. აქვს 26 მმ დიამეტრის სწორი წრის ფორმა. სამკერდე ნიშნის წინაპირი მოარშიებულია 0,6 მმ სიგანის ამობურცული ფერსოთი და აქვს ამობურცული ასოებით შესრულებული წარწერა **„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“**. წარწერის ქვეშ გამოსახულია დაფნის შტო დაშვებული ლენტით. შტოსა და ლენტის გამოსახულება ამობურცულია.

სამკერდე ნიშნის მეორე მხარე გლუვია.

სამკერდე ნიშანი ყუნწისა და რგოლის მეშვეობით უერთდება 26 მმ სიგანის სწორკუთხა ჩარჩოს, რომელზედაც მიმაგრებულია 21 მმ სიგანის, 11 მმ სიმაღლის მუარის ლენტი, გვერდებზე 3,5 მმ სიგანის ორი თეთრი ზოლით. ლენტის ცისფერ არეს შუაგულში აქვს 3,5 მმ სიგანის ლურჯი გრძივი ზოლი,

ხოლო მისგან 1.5 მმ მანძილზე გადის 0.2 მმ სიგანის ორი წვრილი ლუ-
ზოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკერდე ნიშნის ჩარჩოს აქვს ქინძისთავი ტანსაცმელზე მისამაგრებლად.

სამკერდე ნიშანს „**საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი**" ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გრიგოლ დავითის ძე **ჟორჟიკაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 13 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისა და მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრები:

1. თენგიზ სიმონის ძე **ბირკაძე** — ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა.

2. ჯემალ მიხეილის ძე **გალდავა** — სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ოსტატი.

3. ზამირა ისმაილის ასული **თედეევა** — სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

4. ლუდვიგ ლევონის ძე **კოშკიმანიანი**

5. სიმონ არჩილის ძე **მაისურაძე** — თბილისის № 1 **სამკერვალო ფაბრიკის** მექანიკოსი.

6. ვლადიმერ იაკობის ძე **რუბინჩიკი** — ბათუმის კიროვის სახელობის ტყავის ქარხნის სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი.

7. შაქრო იოსების ძე **ტერტერაშვილი** — თელავის ნავთობბაზის დირექტორი.

8. შოთა ნესტორის ძე **ფარულავა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის ხე-ტყის მომზიდველი.

9. პიძენ პარმენის ძე **ჭკადუა** — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

10. ბაგრატ ვლადიმერის ძე **ხმიადაშვილი** — თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი.

11. ნოდარ აკაკის ძე **ჯანუაშვილი**—თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის სართავი საამქროს ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 9 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 დ. ს. ჩხეიძისა და მ. ვ. შჩერბაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ავტოკატასტროფის დროს ხალხისათვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად მამაცობისა და თავგანწირულობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სოხუმის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლები:

1. დიმიტრი სიმონის ძე **ჩხეიძე**
2. მიხეილ ვასილის ძე **შჩერბაკოვი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 9 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 დ. დ. ამირანაშვილის, ნ. ზ. ლოლაძისა და ნ. ბ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ>ს საპატიო სიგელით:**

1. დავით დიმიტრის ძე **ამირანაშვილი** — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამშენებლო-სამონტაჟო საამქროს ზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.
2. ნიკოლოზ ზაქარიას ძე **ლოლაძე** — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ინჟინერი.
3. ნიკოლოზ გალაქტიონის ძე **ორჯონიკიძე**—თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის ყოფილი დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 20 მაისი.

---

49 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თელავის რაიონში მდინარე თურდოზე ხიდის მშენებლობის საქმეში

თელავის რაიონში მდინარე თურდოზე ხიდის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ხიდების სამშენებლო № 9 რაიონის ის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. ვანო დავითის ძე **ბახბახიშვილი** — დურგალი
2. მიხეილ კონსტანტინეს ძე **გარსევანიშვილი** — მებულდოზერე
3. ნიკოლოზ დიმიტრის ძე **ინჩაგოვი** — მეარმატურე
4. ივანე იაკობის ძე **თუშიშვილი** — ავტომანქანის მძღოლი
5. ბერდო გიორგის ძე **კახაბერი** — სამუშაოთა მწარმოებელი
6. ნიკოლოზ მიხეილის ძე **კობაიძე** — ავტომანქანის მძღოლი
7. იოსებ გიორგის ძე **მანგოშვილი** — მექანიკოსი
8. შოთა ზაქარიას ძე **პაპუნაშვილი** — ავტომანქანის მძღოლი
9. ალექსანდრე პეტრეს ძე **საგინაშვილი** — მთავარი ინჟინერი
10. ალექსი საბას ძე **სეხნიაშვილი** — ხიდების მშენებლობის № 9 რაიონის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის დროს გამბედაობის, თავგანწირულების გამოჩენისა და მცირეწლოვანი ბავშვების გადარჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. მიხეილ იანკოს ძე **ქუთელია** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის გვირაბგამყვანი
2. იორამ ალექსის ძე **ცაკიაშვილი** — წნორის სანერგის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 16 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე, წყალწაღებულთა გადარჩენისათვის გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“

1. გიგლა იასონის ძე **კვირიკაშვილი** — ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობის წევრი
2. ვლადიმერ იოსების ძე **ტაბატაძე** — ხაშურის რაიაღმასკომის მილიციის განყოფილების მილიციელი
3. რიტა ნიკოლოზის ასული **ქართველიშვილი-ტიტოვა** — თერჯოლის რაიონის ქვედა სიმონეთის საავადმყოფოს ქირურგი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 მებაღე-დეკორატორ მ. ა. მამულაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში დეკორაციული მებაღეობის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, მიენიჭოს მებაღე-დეკორატორ მიხეილ ალექსანდრეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულაშვილს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 11 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. მ. ა. ჭიჭინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის გამგედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ალექსის ძე **ჭიჭინაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის გამგედ და შეყვანილ იქნას იგი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 6 ივნისი.

განკოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 6 ივნისის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 507 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	79
ქ. გორიდან	3
ახალციხის რაიონიდან	27
ადიგენის „	4
ბოგდანოვკის „	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის	„	17
გორის	„	31
გურჯაანის	„	3
დუშეთის	„	8
ბორჯომის	„	21
ზუგდიდის	„	47
თელავის	„	7
თიონეთის	„	7
კასპის	„	19
ლანჩხუთის	„	12
მცხეთის	„	10
სიღნაღის	„	8
ტყიბულის	„	9
ცაგერის	„	14
ცხაკაიას	„	13
წალკის	„	73
ხაშურის	„	20
ხობის	„	7
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან		61

* * *

1960 წლის 10 ივნისს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: 1. რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური განათლების დაყენების მდგომარეობის შესწავლის შესახებ და 2. რესპუბლიკის ზოგიერთ კლუბებსა და კულტურის სახლებში მხატვრული თვითმოქმედების წრეების საქმიანობის შესწავლის შესახებ.

კომისიამ დაავალა თავის წევრებს შეისწავლონ ეს საკითხები და წარმოადგინონ წინადადებები.

* * *

1960 წლის 14 ივნისს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა: 1. პროექტი კანონისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ და 2. პროექტი კანონისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ.

კომისიამ მოიწონა ორივე პროექტი და მიიღო დადგენილება შეიტანოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით სოხუმის რაიონის ოქტომბრის სასოფლო საბჭოს გამოეყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლები — ზეგანი, ვერხნი-აპიანჩი, ნიჟნი-აპიანჩი და მიეკუთვნა ამავე რაიონის წებელდის სასოფლო საბჭოს.

* * *

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 24 მარტის ბრძანებულებით ბათუმის რაიონის აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩხუტუნეთი გაიყო ორ სოფლად და ეწოდა ზედა ჩხუტუნეთი და ქვედა ჩხუტუნეთი.

* * *

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ლენინგორის რაიონის ცენტრი სოფელი ლენინგორი გარდაიქმნა დაბად.

* * *

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით:

ა) მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო, გაუქმდა სტალინირის რაიონის სოფლები: ბელოთის სასოფლო საბჭოში — თარათა, ფარაზი, ქვემო ვანური და დოგუზთა; ბიყარის სასოფლო საბჭოში — აშატური, მერია, მშხლები და ხარული; ღრომის სასოფლო საბჭოში — ზემონაქალაქევი, ქვემონაქალაქევი და გუდითა;

ბ) გაერთიანდა სოფლები: სტალინირის რაიონის ძარის სასოფლო საბჭოში — ზემო ძარი და ქვემო ძარი და ეწოდა სოფელი ძარი; ამავე რაიონის ხეთაგუროვის სასოფლო საბჭოში—ზემო ტბეთი და ქვემო ტბეთი და ეწოდა სოფელი ტბეთი;

ჯავის რაიონის როკის სასოფლო საბჭოში — ზემო სღუბირი და ქვემო სღუბირი და ეწოდა სოფელი სღუბირი.

გ) გამოეყო ჯავის რაიონის ყემულთის სასოფლო საბჭოს სოფელი ბახუთა და მიეკუთვნა ჯავის სასოფლო საბჭოს;

დ) გაუქმდა რიეგორც დამოუკიდებელი ცალკე სოფელი სტალინირის რაიონის ქემერტის სასოფლო საბჭოს სოფლები მინდიანთ უბანი და მაღალდასანი, რადგანაც ისინი წარმოადგენენ სოფელ ქემერტის უბნებს.